კ2 მოსაკრებლის განმარტებითი ბარათი და გადახდის გრაფიკი

არსებული მიწის ნაკვეთი არის 3183 კვ.მ. რომელსაც ჰყოფს ნორმატიული ფასთა 2 ზონა. 1172 კვ.მ – ყვება 3 ლარიან ნორმატიულ ფასის ზონაში, ხოლო დანარჩენი 2011 კვ.მ. – ყვება 383 ლარიან ნორმატიულ ფასის ზონაში.

3 ლარიანი ზონა

3/1.3*(2.2-(1.3+0.26))*1172=1731 ლარი

383 ლარიანი ზონა

383/1.3*(2.2-(1.3+0.26))*2011=379182 ლარი

სულ: 380913 ლარი

მოსაკრებლის გადახდის გრაფიკი

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ლარი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	380913

შპს "კასსი"

დირექტორი კლაუს ბოდო ჰუნდ


N
W
E
S
265
2011
383 ლარი
ნორმატიული ფასების შორის საზღვარი
3 ლარი
907
1:400

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი №14

ქ. თბილისი

26 მარტი 2015 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — დიმიტრი ქუმსიშვილი

საბჭოს აღმასრულებელი მდივანი — ოთარ ნემსაძე

კომისიის წევრები: ბიძინა გიორგობიანი, თეიმურაზ ჯაფარიძე, მერაბ გაგნიძე, გოჩა ბაბუნაშვილი, მალხაზ მჭედლიშვილი, დიმიტრი მოსულიშვილი, ზაქარია ქურდიანი, ნუგზარ ხვედელიანი, ირაკლი ჩირაძე, ირაკლი მურღულია, მაკა შავიშვილი, ნინო ღოღობერიძე, ნუგზარ მალაღურაძე, ნინო გვენცაძე.

მოწვეულები: რეზო ბაკურაძე, გიორგი მურსაშვილი, ივანე ჯიჯუიშვილი, გიორგი როსიაშვილი, კობა მოდრეკილაძე, გურამ ბეჟაშვილი, რამინ გალიევი, კახა არაბიძე, ჯაბა სუტური, ბესიკ ვაჩაძე, ვაჟა ტარასაშვილი, ნუნუ ბარამიძე, ვლადიმერ ბარამიძე, გიორგი რობაქიძე, ზურაბ მელქაძე, კარლო მშვიდობაძე, გიორგი მაისურაძე, ნოდარ მაისურაძე, ინგა გოგრიჭიანი, გელა კირაკოზაშვილი, ფატი ჯიქურიძე, დათო მარტიაშვილი, ხათუნა კირაკოზაშვილი, დიანა რეხვიაშვილი, დოდო ჩუბინიძე, გიული ხაზალია, ირაკლი გოგოხია, მამუკა კაპანაძე, ირაკლი სრიმონიშვილი, ავთანდილ ლომსაძე, გურამ გუძუაძე, გიორგი მეგრელიშვილი, კობა მოდრეკილაძე, გიორგი მაკარიძე, გიორგი კვარაცხელია, გიორგი მირიანაშვილი, ალექსანდრე სესიაშვილი, დავით ბაირამაშვილი, მამუკა არევაძე, ნინო გაბუნია, ანა ჯავახიშვილი, გიორგი გვანცელაძე, ირაკლი კვარაცხელია, გიორგი გვანცელაძე, რამაზ ჩელიქარაშვილი, ტარიელ ხიზანიშვილი, ზვიად არაბიძე, ინგა არაბიძე, ირინა არაბიძე, ზურა ბრეგვაძე, ირაკლი მელქაძე, მამუკა გუნია, გიორგი ჩხეიძე, ფრიდონ მჭედლიძე, ნუგზარ დვალიშვილი, დავით ვერულავა, დავით სიხარულიძე, დავით ალთუნაშვილი,

39. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, კუს ტბის ტერიტორიაზე/კუს ტბის მიმდებარედ, (ნაკვეთი №01/009), არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.12.001.010), I კლასის შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – თამაზ ბერძენიშვილი. **AR1291663.**
დადგენილი ზონის სახეობა – სარეკრეაციო ზონა 2.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები.
- მისაღები.
- არ არის მისაღები. კუს ტბის ტერიტორიის დაგეგმარების საფუძველზე.
- არ არის მისაღები. საჭიროა სხვადასხვა ტიპის ნაგებობისათვის კონკრეტული ადგილი.
- მისაღებია დროებითი სტატუსით.
- მისაღებია დროებითი სტატუსით.
- არ არის მისაღები. გამზადდეს ტერიტორიის გენ–გეგმა და განხილული იყოს ამ გენ–გეგმის ფარგლებში.
- მისაღებია დროებითი სტატუსით.
- მისაღებია დროებითი სტატუსით.
- მისაღებია დროებითი სტატუსით.
- არ არის მისაღები. კუს ტბის ქაოტური განვითარებაბ დაუშვებელია, აუცილებელია გრგ–ს დამუშავება და ერთიანი კონცეფციით გავითარება.
- მისაღებია. დასაშვებია დროებითი ნაგებობის განთავსება, ვიდრე არ მოხდება ტერიტორიის მთლიანი კეთილმოწყობა.
- მისაღებია დროებითი სტატუსით.
- მისაღებია დროებითი სტატუსით.
- მისაღებია დროებითი სტატუსით.

მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, კუს ტბის ტერიტორიაზე/კუს ტბის მიმდებარედ, (ნაკვეთი №01/009), არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.12.001.010), I კლასის შენობა–ნაგებობის დროებითი სტასტუსით განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემაზე.

განხილვის შედეგი: მომხრე: 10, წინააღმდეგი: 5.

40. ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის №1204 განკარგულებაში კ1 და კ2 კოეფიციენტების განსაზღვრის ნაწილში ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

განმცხადებელი – გელა ძიძიკაშვილი. **AR1291559.**

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- არ არის მისაღები. ჩემთვის საერთოდ არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია. საერთოდ არ უნდა განვითარდეს ეს საკადასტრო ამ სახით.
- არ არის მისაღები. პროექტი სრულიად მიუღებელია, დარღვეულია კანონი ლანდშაფტის დამცავ ზონაში, მსგავსი მასშტაბის მშენებლობა სრულიად შეუსაბამოა. ასევე ირღვევა ძეგლების დამცავი ზონის რეჟიმი.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის №1204 განკარგულებაში კ1 და კ2 კოეფიციენტების განსაზღვრის ნაწილში ძალადაკარგულად გამოცხადებაზე.

განხილვის შედეგი: მომხრე: 12, წინააღმდეგი: 2.

41. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, პეტრე–პავლეს სასაფლაოზე, ნაკვეთი №18/001, ისნის რაიონში, ნაკვეთი 01/009, ისნის რაიონში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №№01.17.08.018.001, 01.17.02.001.009, 01.17.02.001.033) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

განმცხადებელი – მიხეილ ძაგანია. **AR1293624.**
დადგენილი ზონის სახეობა – სარეკრეაციო ზონა 2, ზოგადი საცხოვრებელი ზონა.
მოთხოვნილი ზონის სახეობა – სპეციალური ზონა.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია. დაზუსტდეს ზონები სამსახურის მიერ.

1.მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ილ.ჭავჭავაძის გამზირის №64–ში/ ილ. ჭავჭავაძის გამზირის №66–ის მიმდებარედ (ნაკვეთი №2/14)/ ილია ჭავჭავაძის გამზირის №66–ის მიმდებარედ (ნაკვეთი №2/18)/ ილია ჭავჭავაძის გამზირის №66–ის მიმდებარედ (ნაკვეთი №2/19), ჭავჭავაძის გამზირის №66 (ნაკვეთი №2/24)/ ჭავჭავაძის გამზირი №66–ში (ნაკვეთი №2/25) არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №№01.14.11.002.036, 01.14.11.002.035), ფუნქციურ ზონებს შორის ხარვეზის გასწორებაზე.

2. არსებული ტერიტორიის ფუნქციურ ზონებს შორის კონტური დაზუსტდეს სამსახურის მიერ.

განხილვის შედეგი: მომხრე: 13.

საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილი

საბჭოს აღმასრულებელი
მდივანი ოთარ ნემსაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

1829

ბრძანება №_____

3 აპრილი

"____"_____2015 წ.

ქ. თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის №1204
განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების
თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2015 წლის 26 მარტის სხდომის №14 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის №1204 განკარგულება კ1 და კ2 კოეფიციენტების განსაზღვრის ნაწილში და საკითხი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქ. თბილისში, გერგეთის შესახვევის №3–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს რეკონსტრუქციის მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება."

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი № 6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი,
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე–მერი) დიმიტრი ქუმსიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

განკარგულება №2345

"21" მაისი 2015 წ.

ქ. თბილისში, ზაალ დუმბაძის ქ. №24/გერგეთის ქ.შესახვევი №3/ გერგეთის ქ.შესახვევი №3 მიმდებარედ, (ნაკვეთი №70/049)/ ოქროყანაში, (ნაკვეთი №06/066)/გერგეთის ქ.შესახვევი №3–ის მიმდებარედ, (ნაკვეთი №06/067), არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.070.057), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე მუხლის და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2014 წლის 14 მაისის სხდომის №20 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, ზაალ დუმბაძის ქ. №24/გერგეთის ქ. შესახვევი №3/ გერგეთის ქ. შესახვევი №3 მიმდებარედ, (ნაკვეთი №70/049)/ ოქროყანაში, (ნაკვეთი №06/066)/გერგეთის ქ. შესახვევი №3–ის მიმდებარედ, (ნაკვეთი №06/067), არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.070.057), განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,6, კ2=2,2.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.12.2014 წლის №7-49 დადგენილების შესაბამისად ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE87LB0125152101628987.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მეუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია